საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ნ. გ. /სიითი №/

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: მ. ძ. /სიითი N/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.09.2016

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 074/16

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. ქ.-ს მიმართ /სიითი №/

ადვოკატის წარმომადგენელი: ადვოკატი ე. გ. /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ქ.-სათვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორების პოზიცია:**

1.1 საჩივრის ავტორის განმარტებით 2016 წლის 08 სექტემბერს ადვოკატ თ. ქ.-ს და ხელმძღვანელობით საქართველოს მთავარ პროკურატურასთან მოეწყო აქცია, სადაც გამოტანილ იქნა პლაკატები წარწერით - „თაღლითი ადვოკატი ნ. გ.“. საჩივრის ავტორის განმარტებით, თ. ქ.-მ საქართველოს მთავარი პროკურატურის წინ გამართულ აქციაზე დასდო ბრალი დანაშაულის ჩადენაში.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისდამი ადვოკატ თ. ქ.-ს მტრობა განაპირობა შემდეგმა გარემოებამ: როდესაც თ. ქ. პატიმრობაში იმყოფებოდა, საჩივრის ავტორმა ის მხოლოდ ერთხელ მოინახულა და ვერ მოახერხა სხვაგვარი დახმარება. ამავდროულად საჩივრის ავტორმა თ. ქ.-ს საპატიმროში ყოფნის დროს მის ანგარიშზე შეიტანა 30 ლარი, ასევე დადო 50 ლარი, როდესაც ადვოკატები აგროვებდნენ თანხას ადვოკატ თ. ქ.-სთვის. ასევე, ის როგორც ადვოკატი, უსასყიდლოდ მოემსახურა თ. ქ.-ს კლიენტებს. საჩივრის ავტორის განმარტებით, მის მიერ გაწეული მხარდაჭერა თ. ქ.-ს თვალთახედვით არ აღმოჩნდა საკმარისი, რაც არის მტრობის საფუძველი.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, თ. ქ. ჩადის ადვოკატისათვის შეუფერებელ საქციელს. თ. ქ. საჯაროდ გამოდის და სდებს ბრალს საჩივრის ავტორს იმ დანაშაულის ჩადენაში, რომელიც მას არ ჩაუდენია.

1.4 საჩივრის ავტორმა 2016 წლის 01 ოქტომბერს წარმოდგენილ განცხადებაში მიუთითა, რომ ადვოკატმა თ. ქ.-მ თავისი მარწმუნებლის, გ. გ.-ს პროცესზე განაცხადა, რომ ნ. გ.-ს და მის მარწმუნებლებს თაღლითურად აქვთ მითვისებული სხვების ქონება და ნ. გ.-ს მიმართ დააყენებდა განაჩენს.

1.5 საჩივრის ავტორმა 2019 წლის 11 მარტის განცხადებაში განმარტა, რომ ადვოკატი თ. ქ. მას საჯაროდ ეძახის თაღლითს, სიყალბის ჩამდენს, ტელევიზიით ლანძღავს, აყენებს შეურაცხყოფას, ამცირებს და უწყობს პროვოკაციებს, რათა გირაოს ქვეშ მყოფი საჩივრის ავტორი ციხეში შეაბრუნოს. თ. ქ.-მ სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ თუ საჩივრის ავტორი მას შეეპასუხებოდა და განმარტებაზე პასუხს დაუბრუნებდა კლიენტის სასარგებლოდ, ადგებოდა და თავში ჩაარტყამდა, რაზეც მოსამართლემ მხოლოდ გაფრთხილება მისცა.

1.6 2019 წლის 13 მარტს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ტელევიზიით გასულ სიუჟეტში ადვოკატმა თ. ქ.-მ მას საქვეყნოდ დააბრალა დოკუმენტების გაყალბება, თითქოს მან ყალბი დოკუმენტით მოახდინა ბ. გ.-ზე საკუთრების უფლების აღიარება.

1.7 ადვოკატმა განმარტა, რომ თ. ქ.-მ მას დაურეკა და საქმესთან დაკავშირებით ესაუბრა მუქარის ტონით.

2. ადვოკატ თ. ქ.-ს პოზიცია:

2.1 ადვოკატის განმარტებით, 2016 წლის 5 მაისს, 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულმა საქართველოს მთავარ პროკურატურასთან გამართეს აქცია, სადაც პირველად გამოჩნდა პლაკატი წარწერით „დაისაჯოს თაღლითთა ჯგუფი ნ. გ.-ს მეთაურობით“. ადვოკატის განმარტებით, ის არ არის ამ აქციის ინიციატორი.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მას აღნიშნული პლაკატის შექმნაში მონაწილეობა არ მიუღია და პლაკატის შინაარსს არ იზიარებს. პლაკატი შეიქმნა სტიქიით დაზარალებულთა ინიციატივით 2016 წლის 05 მაისს და მასზე გამოხატულია უშუალოდ სტიქიით დაზარალებულთა მოსაზრება მათი ქონების მიმთვისებელ პირებზე.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ნ. გ.-ს მიერ საჩივარში მოყვანილი ფაქტები, რომ უშუალოდ მას ვინმე სდებს ბრალს, არ შეეფერება სინამდვილეს, რადგან აქციის მონაწილეებისა და ადვოკატ თ. ქ.-ს მოთხოვნა იყო სწრაფი და ეფექტური გამოძიების ჩატარება სისხლის სამართლის საქმეზე.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მას საჩივრის ავტორთან პირადი მტრობა არ აკავშირებს. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი არც ერთხელ არ ყოფილა მასთან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო ფულის ჩარიცხვის ფაქტი მისთვის უცნობია. ადვოკატის განმარტებით, დაუჯერებელი ფაქტია, რომ საჩივრის ავტორი მის კლიენტებს უსასყიდლოდ ემსახურებოდა, მაშინ როდესაც მას ადვოკატ ნ. გ.-სთან არანაირი ახლო მეგობრული კავშირი არ ჰქონდა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, პლაკატები დამზადებული და აქციაზე მიტანილი იყო თავად ვერეს დაზარალებულთა მიერ, ეს მათი უშუალო მოსაზრებაა და არა ადვოკატების.

2.6 2019 წლის 19 ივლისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ ის ადვოკატ ნ. გ.-ს მიმართ, კლიენტთა მიერ დამოუკიდებლად გამართულ აქციაზე, როგორც მათი წარმომადგენელი, კლიენტებს თავისი აქციაზე ყოფნით მხარს უჭერდა, თუმცა, თავად როგორც ადვოკატი, კლიენტთა დასახმარებლად ახორციელებდა საადვოკატო მოქმედებებს - ადვოკატ ნ. გ.-ს მიმართ მიმდინარეობს წარმოება სასამართლოში სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის კუთხით. ადვოკატმა განმარტა, რომ აქციაში მონაწილეობა წარმოადგენდა სამართლებრივ მოქმედებას.

2.7 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის მიზანია, რომ ის, როგორც ადვოკატი, ჩამოშორდეს ვერეს ხეობის დაზარალებულთა საქმეებს, როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების კუთხით.

2.8 ადვოკატის განმარტებით, ვერეს ხეობის დაზარალებული სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით და ამ ფარგლებს არ გაცდენილან. მან, როგორც ადვოკატმა, ამ საქმეზე გამოთქვა ვარაუდი, რომლის დადასტურება ან უარყოფა მოხდება სასამართლოს გზით. ასევე, ადვოკატმა განმარტა, რომ არ იზიარებს კლიენტთა მიერ აქციაზე, პლაკატებზე მითითებულ ფრაზებს.

2.9 ადვოკატი განმარტავს, რომ სატელეფონო ზარისას, რომელზეც მომჩივანი მიუთითებს, თითქოს თ. ქ. მას დაემუქრა, მან ადვოკატს შესთავაზა მორიგების პირობები ერთ-ერთი დაზარალებულის საქმეზე.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი თ. ქ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

3.2 ადვოკატმა ნ. გ.-მ /სიითი №/ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2016 წლის 09 სექტემბერს.

3.3 სადავო ქმედება ხორციელდება 2016 წლიდან დღემდე. შესაბამისად, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. ქ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 ადვოკატ ნ. გ.-ს პრეტენზია ადვოკატ თ. ქ.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი თ. ქ. საჯაროდ, აქციებისა და ტელევიზიის მეშვეობით საჩივრის ავტორს აყენებს შეურაცხყოფას და ლახავს მის რეპუტაციას; ადვოკატი თ. ქ. სასამართლოს აწვდის არასწორ ინფორმაციას.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. ქ.-ს მიერ აპეკ-ის მე-7 მუხლის, მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის, მე-10 მუხლის პირველი ნაწილისა და აშსკ-ის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები";

„ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას";

„ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით"; „ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება".

5.3 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატის სამოქმედო არეალი შეზღუდულია კანონის ფარგლებით. ადვოკატმა ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, მისი ინტერესები ნებისმიერი პირის ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენოს და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა.

5.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე N010/10 დაადგინა, რომ „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტი და წარმოადგინოს მისი კანონიერი ინტერესები მხოლოდ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატმა ყველა ღონე უნდა იხმაროს კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოში, მაგრამ ეს მოქმედებები სასამართლოში დადგენილი ქცევის წესებით და პროცესუალური კანონმდებლობით არის განსაზღვრული, რისი დაცვის ვალდებულება ასევე ეკისრება ადვოკატს."

5.5 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ადვოკატის საქმიანობისათვის ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელად მიიჩნევს კოლეგიალობის პრინციპს. აღნიშნული პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ მხარესაც, რაც აუცილებელია კოლეგებთან ურთიერთობის დროს (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15/04/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №1ბ/სპ-07-16).

5.6 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“

5.7 ადვოკატი თ. ქ. ახორციელებს საჩივრის ავტორის, ადვოკატ ნ. გ.-ს კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარეთა წარმომადგენლობას, მხარეთა შორის არსებულ დავაში.

5.8 საჩივრის ავტორის პრეტენზიაა, რომ ადვოკატმა თ. ქ.-მ მას მრავალჯერადად მიაყენა შეურაცხყოფა აქციებისა და ტელევიზიის მეშვეობით, მათ შორის სასამართლო პროცესზე, რაც განპირობებულია პირადი შუღლით. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის პოზიცია არ შეეფერება სინამდვილეს და მას არ აქვს პირადი შუღლი საჩივრის ავტორთან. ადვოკატის განმარტებით მას არ მიუყენებია საჩივრის ავტორისათვის შეურაცხყოფა და არც ამის მიზანი ჰქონია.

5.9 კოლეგია გაეცნო საქმეში მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს: აქციების ფოტო მასალას, ტელევიზიით გასულ სიუჟეტებს, სასამართლო სხდომის ოქმს, საპროცესო დოკუმენტაციას და მიიჩნევს, რომ პროკურატურის წინ გამართულ აქციაზე, აქციის მონაწილეთა და მათი ადვოკატის, თ. ქ.-ს მოთხოვნა იყო საქმეზე სწრაფი და ეფექტური გამოძიების ჩატარება, რაც შედიოდა თ. ქ.-ს კლიენტთა ინტერესში. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით არ დაასტურდება, რომ პლაკატი წარწერით ,,დაისაჯოს თაღლითთა ჯგუფი ნ. გ.-ს მეთაურობით“ შექმნა ადვოკატმა თ. ქ.-მ. საპროცესო დოკუმენტაციაში ადვოკატ ნ. გ.-ს მიერ მითითებული სადავო მოქმედება მითითებულია სავარაუდოობის სტანდარტით და არა მტკიცებით ფორმაში. კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ სავარაუდოდ დანაშაულზე მითითება, არ წარმოადგენს ადვოკატის ეთიკურ გადაცდომას. საჩივრის ავტორმა წარმოადგინა მოსამზადებელი სხდომის აუდიო ჩანაწერი, კოლეგია გაეცნო ჩანაწერს, სადაც 13:13 – 13:14 წუთებში ადვოკატი თ. ქ., როგორც ვერეს ხეობის დაზარალებულთა წარმომადგენელი ამბობს ფრაზას - ,,ადვოკატის მეშვეობით თაღლითური გზით გადაიფორმეს“. კოლეგიამ გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა ჩანაწერის სრული ვერსიით, რომელსაც ტონად გასდევს სავარაუდოობის სტანდარტი, შესაბამისად მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიზანს წარმოადგენდა თავისი კლიენტების დაცვა და არა კოლეგის შეურაცხყოფა.

5.10 კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კოდექსი ადვოკატებს არ უკრძალავს კლიენტის საქმესთან დაკავშირებით ერთმანეთთან კომუნიკაციას. საჩივრის ავტორის განმარტების საპირისპიროდ, სადაც ის აცხადებს, რომ ადვოკატი თ. ქ. დაემუქრა, რომ დათანხმდებოდა გარკვეულ პირობებს, ადვოკატი თ. ქ. განმარტავს, რომ მან ადვოკატს შესთავაზა მორიგების პირობები. წარმოდგენილი საქმის მასალებით დგინდება, რომ ამ მოქმედების ნაწილში, ადვოკატ თ. ქ.-ს ქცევა ეთიკურია.

5.11 კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს ორიენტირებული კლიენტზე და მიზნად ისახავდეს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას. ამავე დროს, ადვოკატმა კლიენტის ინტერესების წარმომადგენლობის განხორციელებისას უნდა დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი, რომლის მიზანია ადვოკატებს

შორის ნდობის, თანამშრომლობის და პატივისცემის დამკვიდრება. ადვოკატმა არ უნდა დაუშვას კოლეგის მიმართ შეურაცხმყოფელი მოქცევა და მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, მათ შორის წერილობით შედგენილი დოკუმენტებში. ეთიკის კომისია მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე მიიჩნევს, რომ ადვოკატი თ. ქ. მოქმედებდა კლიენტის ინტერესების დასაცავად. ადვოკატის მიერ გაკეთებული კომენტარები არის არა მისი სუბიექტური აზრი, არამედ კლიენტთა აზრის გაჟღერება, რაც ასევე არის საადვოკატო მომსახურების ნაწილი. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. ქ.-ს პროფესიულ ქცევაში არ გამოიკვეთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევა, შესაბამისად, წარმოდგენილი საჩივარი არ იძლევა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს.

5.12 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №074/15 ადვოკატ თ. ქ.-ს მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/